



ღოჯიური
ET CETERA

მაიკლ ონდააჩი
ომის წილი სინათლე

მაიკლ ონდააჩი
მისი წილი სინათლე

Michael Ondaatje
WARLIGHT



We acknowledge the support of the Canada Council for the Arts.

Nous remercions le Conseil des arts du Canada de son soutien.

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ

© 2018 by Michael Ondaatje
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2019
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-595-0

www.diogene.ge

ელენ სელიგმანს, სონი მეჭთას და
ლიზ ქალდერს – ნლების შემდეგ

„დიდი ბრძოლების ბედი მეტწილად ტოპოგრაფიულ რუკებთან წყდება ხოლმე“.

ნაწილი პირველი

‘უცხო ხალხი სუვრასთან

1945 წელს ჩვენი მშობლები ქვეყნიდან გაუმგზავრნენ და ჩვენი თავი იმ ორ კაცს ჩააბარეს, ვინც შეიძლებოდა სულაც ბოროტ-მოქმედები ყოფილიყვნენ. მაშინ ლონდონში ვცხოვრობდით, რავი-ნი-გარდენზე. ერთ დილით, არ მახსოვს, დედამ თუ მამამ გამოგვიცხადა, ნასაუზმევს სალაპარაკო გვექნებაო, და როცა ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი, ასე გვითხრეს – ერთი წლით სინგაპურს მივემგზავრებითო. არც ისე დიდი დროა, თუმცა ხანმოკლე გასეირნებაც არ გამოგვიგაო. თან დაგვაიმედეს, ჩვენს არყოფნაში, რა თქმა უნდა, მზრუნველობა არ მოგაკლდებათო. მახსოვს, ამას რომ გვეუბნებოდა, მამა ბალის მოუხერხებელ რკინის სკმზე იჯდა, მის გვერდით ატუზული, საზაფხულო კაბაში გამოწყობილი დედაჩვენი კი უხმოდ მოგვჩერებოდა – აბა, რას იტყვიანო. ცოტა ხნის შემდეგდა მიუახლოვდა რეიჩელს, ჩემს დას, და მისი ხელი ისე მიიხუტა მკერდზე, თითქოს გათოშილ თითებს უთბობსო.

არც რეიჩელს და არც მე ხმა არ გაგვიღია. ისევ მამას მივჩერებოდით, ვინც ახლა დაწვრილებით გვიამბობდა, როგორ უნდა ნასულიყვნენ ის და დედა სამგზავრო თვითმფრინავად გადაკეთებული ბომბდამშენით, რომელსაც საათში სამას მილზე დიდი სიჩქარით ფრენა შეეძლო. საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ჩასალნევად, სულ ცოტა, ორჯერ მაინც მოუწევდათ დაშვება და თვითმფრინავის გამოცვლა. აგვიხსნა, სამსახურში დამანინაურეს, აზის

განყოფილებაში გადამიყვანეს, რაც მთელი ოჯახისთვის სასიკეთო იქნება. წარპშეუხრელად ვუსმენდი ამ ყველაფერს და სიტყვა ისე გაუგრძელდა, დედამ თავისი საზაფხულო ბალის დასახედად გას- ვლაც კი მოასწრო. მამა ლაპარაკს რომ მორჩა, დედამ დაბნეულო- ბა შემატყო – მომიახლოვდა და თითებით თმა მომიჩება.

მაშინ მე თოთხმეტის ვიყავი, რეიჩელი – თითქმის თექვსმეტის. როგორც მშობლებმა გვითხრეს – უფრო სწორად, დედამ – უქმე დღეებში და არდადეგების დროს ჩვენზე საგანგებო მეურვე იზრუ- ნებდა. იმ კაცს თავიანთ თანამშრომლად იხსენიებდნენ. მას ადრე მე და რეიჩელიც შევხვედროდით და ზედმეტი სახელიც მოვუგონეთ: ზურგსუკან ჩრჩილს ვეძახდით. ჩვენს ოჯახში ჩვევად გვქონდა ხალ- ხისთვის სახელების შერქმევა და რაღაც-რაღაცების მუქ ფერებში დანახვაც გვახასიათებდა. ასე მაგალითად, რეიჩელს ადრევე ეთქვა ჩემთვის: ეგ ჩრჩილი, მგონი, ბეჭელ საქმეებში უნდა იყოს გარეულიო.

მშობლების გადაწყვეტილება უცნაური კი ჩანდა, მაგრამ ახ- ლად დამთავრებული ომის მერე ცხოვრება ჯერაც ყირაზე იდგა, ისე არევ-დარეულიყო, ჰოდა, მათი გადაწყვეტილება აღარც მოგვჩვენე- ბია მთლად უჩვეულოდ. როგორც, ზოგადად, ბავშვები იქცევიან ხოლმე, ჩვენც დავემორჩილეთ უფროსების ნებას და არც ჩრჩილის საწინააღმდეგოდ გვითქვამს რამე – მოკრძალებული, ზორბა კაცის, რომელიც ცოტა ხნის წინ მდგმურად შემოსახლებულიყო ჩვენსავე სახლში, მესამე სართულზე, და მართლა ჩრჩილივით გაუბედავად მოძრაობდა. როგორც ჩანს, მშობლებს სანდო კაცად მიაჩნდათ. ეჭ- ვობდნენ თუ არა დამნაშავეთა სამყაროსთან მის შესაძლო სიახლო- ვეს, მე და რეიჩელი ამას დაბეჯითებით ვერ ვიტყოდით.

მე მგონი, თავის დროზე დედ-მამა ეცადა, ჩვენი ოჯახი განსა- კუთრებით შეკრულ-შედუღაბებულად ექციათ. ხანდახან მამა ნე- ბას მაძლევდა, სამსახურში გავყოლოდი. კომპანია „უნილევერში“ მსახურობდა, სადაც შაბათ-კვირას და ბანკისთვის უქმე დღეებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა ხოლმე. ვიდრე თავის საქმეებს მოითავებ- და, მე ამ თითქოსდა ყველასგან მიტოვებულ, უკაცრიელ სამყაროში დავბორიალობდი, მაღალი შენობის მეთორმეტე სართულზე. ყველა

კარადა ჩაკეტილი მხვდებოდა, ყველა საქალალდე კალათა – ცა-რიელი. არც სურათები გამოიფინათ კედლებზე, მხოლოდ ერთგან ეკიდა დიდი, რელიეფური რუკა, რომელზეც კომპანიის საზღვარ-გარეთული ფილიალების ადგილმდებარეობა მოენიშნათ. მომბასა, ქოქოსის კუნძულები, ინდონეზია. მონიშნული იყო სათავო ოფის-თან შედარებით ახლომდებარე, ხმელთაშუა ზღვას შემოჯარული ქალაქებიც: ტრიესტი, ჰელიოპოლისი, ბენგაზი, ალექსანდრია, რომ-ლებსაც, ჩემი ვარაუდით, მამა უწევდა ზედამხედველობას. სწორედ ლონდონის სათავო ოფისიდან ჯავშნიდნენ ის და მისი თანამშრომ-ლები იმ ასობით სატვირთო გემის ტრიუმებს, რომლებიც აღმოსავ-ლეთისაკენ დაცურავდნენ. ამ ქალაქებისა და ნავსადგურების მომ-ნიშვნელ ნათურებს შაბათ-კვირაობით არავინ ანთებდა და, შესაბა-მისად, სიბნელეში ყველა ერთნაირად შორეული და იდუმალი ჩანდა.

სულ ბოლო წუთს გადაწყდა, რომ დედა ზაფხულის ბოლო რამდენიმე კვირა ინგლისში დარჩებოდა, რათა საკუთარი თვალით ენახა, რამდენად კარგად გაართმევდა ბავშვებზე ზრუნვას თავს ეს ჩვენი მეურვე მდგმური და ახალ სკოლა-პანსიონში წასასვლელადაც როგორ გაგვამზადებდა. მანამდე კი, ვიდრე მამა უიმისოდ გაფრინ-დებოდა სადღაც, ქვეყნის დასალიერში, შაბათ საღამოს ერთხელ კიდევ გამიყოლა კარზონ-სტრიტზე, თავის სამსახურში. შეგნებუ-ლად გადაწყვიტა, ამოდენა გზა ფეხით გაგვევლო, რადგან მთელი მომდევნო დღე თვითმფრინავში მოუწევდა უქმად ჯდომა. მხოლოდ ბუნებისმეტყველების ისტორიის მუზეუმამდე გავყევით ავტობუსს, იქიდან კი ჰაიდ-პარკი გადავჭერით და მეიფერარისკენ გავემართეთ. მამა უჩვეულოდ მხიარული და ხალისიანი ჩანდა. მეზღვაურების სიმღერის ერთსა და იმავე სიტყვებს ღილინებდა გულარხეინად – თითქოს შორი გზისთვის ასე ემზადებაო. ვფიქრობდი და ვერ მივ-მხვდარიყავი, მაინც რა ედო გულში. მერე გამახსენდა, რამდენი გასაღები დაგვჭირდებოდა, ვიდრე მათ დანესებულებაში ამოვყოფ-დით თავს, რომელსაც მაღალი შენობის მთელი ბოლო სართული ეკავა. ახლაც იმ დიდი ჩამქრალი რუკის ნინ ვიდექი და იმ ქა-ლაქების სახელებს ვიხსენებდი, მამაჩემს რომ უნდა გადაეფრინა

მომდევნო რამდენიმე ლამის განმავლობაში. რუკების თვალიერება მაშინაც მიყვარდა. უცებ მამაც ამომიდგა გვერდით, შუქი აანთო და რელიეფურ რუკას უმაღვე მაღლობებისა და ბორცვების ჩრდილები დაეფინა. თუმცა მე იმდენად მოციმციმე ნათურებს არ ვუც-ქერდი, რამდენადაც უკვე ლია ცისფრად შეფერილ ყურეებსა და ჯერაც ბნელში დარჩენილი ხმელეთის მოზრდილ ნაფლეთებს. ასე მგონია, ჩემთვის და რეიჩელისთვის ჩვენი მშობლების ქორნინებაც ამ რუკას ჰეგავდა: მხოლოდ ცალკეულ ნაგლეჯებად აღიქმებოდა და ერთიან სურათად ვერ მთლიანდებოდა. საკუთარ ცხოვრებაზე იშვიათად გვიყვებოდნენ, მხოლოდ ამა თუ იმ შემთხვევას თუ გაიხსენებდნენ. მამაჩვენი ჯარში წინა ომის მიწურულსძა გაიწვიეს და ჯერაც იმ შთაბეჭდილებების გავლენის ქვეშ მყოფს, ჩვენთვის გულის გადასაშლელად თითქმის არასოდეს ეცალა.

რაც შეეხება მათ გამგზავრებას, იმთავითვე იგულისხმებოდა, რომ დედაც მამასთან ერთად უნდა წასულიყო: ჩვენი აზრით, სხვა გზა არ არსებობდა. რაკი ცოლ-ქმარი იყვნენ, უერთმანეთოდაც ვერ გაძლებდნენ. ოჯახისთვის ნაკლებად მტკივნეული და საზარალო იქნებოდა, თუკი არ დავიჩიმებდით, გინდა თუ არა, დედა დარჩეს და იმან მოგვხედოს. მშობლებმა ისიც აგვიხსნეს, რომ ერთ-ერთი მათგანის დარჩენის შემთხვევაში, იმ სკოლიდან ჩვენი გამოყვანის მიზეზის ახსნაც გაჭირდებოდა, სადაც თავის დროზე რის ვაი-ვაგ-ლახით გავემწესებინეთ. გამგზავრებამდე სამივე მამას შემოვეხვიერდა იმანაც ყველა ერთად ჩაგვიკრა გულში. როგორც შეგნებული და მორიდებული ადამიანი, ჩვენი მეურვე იმ შაბათ-კვირას საერთოდ არ გამოჩენილა.

ასე დავიწყეთ ახალი ცხოვრება. მაშინ ამის ბოლომდე არც მჯეროდა. ეგ კი არა, დარნმუნებით ახლაც ვერ ვიტყვი, შემდგომმა ხანამ დაამახინჯა თუ სულ სხვა ძალით დამუხტა ჩემი არსებობა. სწორედ მაშინ გავთავისუფლდი ოჯახური ვალდებულებებისა თუ შეზღუდვებისაგან, რის შედეგადაც, მოგვიანებით, საკუთარი თავის

მიმართ უნდობლობაც დამჩერდა – თითქოს ერთბაშად ამოვწურე მთელი ეს მონიჭებული თავისუფლება. ახლა კი იმ ასაკს მივაღწიე, როცა შემიძლია ვილაპარაკო, როგორ ვიზრდებოდით სრულიად უცხო ადამიანების მფარველ ფრთხებქვეშ. თითქოს იმ იგავის და-ფარულ აზრს ვანიჭებ სიცხადეს, რომელიც ჩვენი მშობლების, ჩემი და რეიჩელის, ჩრჩილისა და ჩვენს ცხოვრებაში მოგვიანებით გამო-ჩენილი სხვა ადამიანების ამბავს შეეხება. მე მგონი, ასეთ ამბებს დადგენილი კალაპოტიც აქვს და მზა ხატებიც ახასიათებს. საბო-ლოოდ, ესეც ერთგვარი გამოცდაა. არავინ იცის, ვის უპყრია ხელთ სიმართლის გასაღები. ადამიანები არც ისეთები არიან, როგორებიც გვგონია და არც იქ იმყოფებიან, სადაც გვეგულებიან. მუდამ არსე-ბობს ვილაც ისეთი, ვინც ჩვენთვის სრულიად უცნობი ადგილიდან გვადევნებს თვალს. მახსოვს, როგორ უყვარდა დედას ლაპარაკი იმ საორჭოფო დავალებებზე, რასაც მეფე ართურის ლეგენდებში ერ-თგულ რაინდებს აძლევდნენ ხოლმე, და როცა ამ ამბებს გვიყვებო-და, ზოგჯერ მოქმედება ბალკანეთსა თუ იტალიაში მდებარე რომე-ლიმე პატარა სოფელში გადაპქონდა შეგნებულად – გვეფიცებოდა, ამ სოფელში თვითონაც ვარ ნამყოფიო და რუკაზეც გვაძენინებდა.

მამას გამგზავრების შემდეგ დედა უფრო მეტ დროს გვითმობ-და. ადრე მშობლების შემთხვევით გაგონილი საუბრები მუდამ მოზ-რდილთა საქმეებს შეეხებოდა, ახლა კი თავისი ბავშვობისდროინდე-ლი ამბების მოყოლაც დაგვიწყო – როგორ იზრდებოდა სოფლად სა-ფოლკის მხარეში. განსაკუთრებით ერთი მათგანი მოგვინდა, რო-მელსაც მე და რეიჩელმა ჩვენთვის „ოჯახი სახურავზე“ დავარქვით. დედას მშობლები საფოლკის იმ მიდამოში სახლობდნენ, წმინდანებად რომ იხსენიებენ: წყნარი ადგილია, რომლის სრულ სიმშვიდესაც მხო-ლოდ მდინარის დუღუნი და მეზობელი სოფლის ეკლესიის ზარების ხმა თუ არღვევს. მაგრამ ერთხელ მთელი თვე მათ სახურავს ერთი ოჯახი შესევია, ყველაფერი აურ-დაურევია და ისეთი გნიასიც აუტე-ბია, შინ მყოფებს ხეირიანად არც ესმოდათ ერთმანეთის ლაპარაკი. ოჯახი წვეროსანი კაცისა და მისი სამი ვაჟიშვილისაგან შედგებო-და. მათგან სულ უმცროსი სხვებზე ჩუმი და მორიდებული ყოფილა,

წყალიც სულ იმას აპქონდა სახურავზე კიბით დანარჩენებისათვის. როცა კი დედაჩემი შინიდან გამოვიდოდა, ან საქათმიდან კვერცხების გამოსატანად, ანდა სადმე წასასვლელად, ის ბიჭი თურმე თვალს არ აშორებდა. კაცი და მისი ვაჟები დურგლები ყოფილან და მთელი დღე მუყაითადაც შრომობდნენ, მხოლოდ სადილობისას ჩამოდიოდნენ სახურავიდან კიბით და ცოტა ხნით სადღაც უჩინარდებოდნენ. ერთ დღეს თურმე საშინელი ქარბუქი ქროდა. ქარის ერთ დაბერვაზე სახურავის კიდეზე მდგარ უმცროს ვაჟს წონასწორობა დაუკარგავს, გადმოვარდნილა, ხის რამდენიმე ტოტი ჩამოუტეხავს და სამზარეულოსთან, ზედ ფილაქანზე დანარცხებულა. შინ თავისივე ძმებს შეუყვანიათ. ბიჭს, სახელად მარშს, თეძო ჰქონია მოტეხილი. ექიმს არტახი დაუდვია და მისიანები გაუფრთხილებია, ამის განძრევა არ იქნებაო. ასე წოლილა კიდეც, სამზარეულოზე მიშენებულ სათავსოში გამლილ ვინწრო საწოლზე, სანამ სახურავის შეკეთება არ მოუმთავრებიათ. მაშინ რვა წლის დედაჩენს ევალებოდა თურმე მისთვის საჭმელ-სასმელის მიტანა. ზოგჯერ წიგნიც მიჰქონდა, ოლონდ ბიჭი ისე მორცხვობდა, ერთხელაც კი არ გამოლაპარაკებია. ის ორი კვირა, ალბათ, უსასრულოდ მოეჩვენაო, გვეუბნებოდა დედა. ბოლოს დურგლებს საქმე მოუთავებიათ, გუდა-ნაბადი აუკრავთ და წასულან. ბიჭიც თან წაუყვანიათ.

როცა კი მე და ჩემი და ამ ამბავს ვიხსენებდით, მუდამ ბოლომდე გაუგებარი ჯადოსნური ზღაპრის ნაწილად გვეჩვენებოდა. დედა ამ ყველაფერს მშვიდად, აუღელვებლად ჰყვებოდა და როგორც მრავალგზის განმეორებულ თხრობას სჩვევია, მის ხმაში ალარცი მი ბიჭის სახურავიდან გადმოვარდნით შეძრნუნების კვალი იგრძნობოდა. ვთხოვდით, სხვაც მოეყოლა რამე იმავე ბიჭის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ამას იხსენებდა – როგორ გაეგონათ ქარბუქიან სალამოს ჯერ ტოტების ლანალუნი, მერე კი ფილაქანზე ადამიანის სხეულის დაცემის ყრუ ხმა. მხოლოდ ამ ერთადერთ ეპიზოდს იხსენებდა თავისი ადრეული, ჩვენთვის იდუმალი ცხოვრებიდან.

მესამე სართულის მდგმური ჩრჩილი თითქმის არასოდეს იყო შინ, თუმცა ზოგჯერ შედარებით ადრე, სადილობამდე ბრუნდე-
18

ბოდა ხოლმე. ახლა უკვე ვეპატიუებოდით – დაგვეწვიეო, ის კი თავიდან უარობდა, ხელებს იქნევდა – არ შეგაწუხებთო, და როდის-როდის ვახერხებდით მის დაყოლიებას. თუმცა, მეტნილად, საღამოობით მაინც ბიგზ-როუზე ყიდულობდა თავისთვის რამე გამზადებულ საჭმელს. საპატიო თავდასხმების შედეგად ქალაქის ის ნაწილი ძალიან დაზარალდა და ქუჩის მოვაჭრეებსაც იქ სახელ-დახელო დახლები გაემართათ. ჩვენ მაინც მუდმივად ვგრძნობდით ჩრჩილის მეზობლობას, თითქოს ყველა კუთხე-კუნჭულიდან მისი მორიცებული მზერა მოგვიჩრებოდა. ვერ მიხვდებოდი, ეს კაცი მართლა ასეთი მორცხვი იყო თუ უბრალოდ, ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ამ კითხვასაც გაეცე-მოდა პასუხი. ზოგჯერ საძინებლის ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ ესაუბრებოდა დედას უკვე ჩაბნელებულ ბაღში, ხანდახან კი ჩაისაც მიირთმევდნენ ერთად. სასწავლო წლის დაწყებამდე დედა კარგა ხანს ცდილობდა მის დაყოლიებას, მათემატიკაში დამხმარებოდა. ამ საგნის სწავლა მაშინაც მიჭირდა და მას შემდეგაც იგივე გაგ-რძელდა, რაც ჩრჩილმა ჩემს დახმარებაზე ხელი ჩაიქნია. თავიდან კი, იმ პირველ დღეებში, ჩვენმა მეურვემ ნამდვილად მომზიბლა იმ ლამის სამგანზომილებიანი ნახაზებით, რომელთა წყალობითაც ცდილობდა, გეომეტრიული თეორემების სილრმეებს ვეზიარებინე.

თუკი სიტყვა ომზე ჩამოვარდებოდა, მე და ჩემი და უცდილობ-დით, ჩრჩილისგან მეტი და მეტი გაგვეგო – სად ყოფილიყო და რას საქმიანობდა ომიანობის დროს. იმხანად ერთმანეთში ირეოდა ტყუილ-მართალი, მე და რეიჩელი კი ძალიან ცნობისმოყვარეები გახლდით. ჩრჩილიცა და დედაც ყველაზე ხშირად ომისდროინდელ საერთო ნაცნობებს იხსენებდნენ. ისიც სრულიად ცხადი იყო, რომ დედა ამ კაცს მანამდეც იცნობდა, ვიდრე ის ჩვენთან დაბინავდე-ბოდა, ომში მისი ჩართულობა კი ჩვენთვის დიდად მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან გარეგნულად ჩრჩილზე მშვიდობისმოყვარე კა-ცი ძნელად წარმოვედგინა. მის შინ ყოფნაზე, როგორც წესი, რა-დიოდან მომავალი საფორტეპიანო მუსიკის მშვიდი ხმა მიგვანიშ-ნებდა ხოლმე. რაც შეეხება მის იმჟამინდელ საქმიანობას, მგონი,

რაღაცით საბუღალტრო აღრიცხვებსა და სახელფასო დავთრებს უკავშირდებოდა. ერთ საღამოს კი, ბოლოს და ბოლოს, შევიტყვეთ, რომ ის და დედა ომის დროს სასტუმრო „გროსვენორ ჰაუსის“ სახურავზე განთავსებული სახანძრო საგუშაგოს მოხალისე წევრები ყოფილიყვნენ, რომელსაც თავად „ჩიტის ბუდედ“ იხსენიებდნენ. უკვე დასაძინებლად გამზადებულებს, მე და ჩემს დას პიუამები გვეცვა, რძეს ვწრუპავდით, ისინი კი ძველ ამბებს იხსენებდნენ – ხან სიცილ-სიცილით, ხან სევდიანად. ერთ საღამოს, ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ახალ სკოლაში წასვლა მოვგინევდა, დედა სასტუმრო ოთახის კუთხეში ჩვენს პერანგებს აუთოვებდა, ჩრჩილი კი თავისებურად მორცხვად ატუზულიყო კართან, თითქოს დარჩენაც ვერ გაუბედავს და წასვლაც ვერ გადაუწყვეტია. ბოლოს ეტყობა, მაინც დარჩენა ამჯობინა და სიტყვა დედაჩვენის ყოჩალობაზე ჩამოაგდო – ერთ ლამით მას მანქანით გადაუყვანია ხალხი სრულ სიბრძეები, დათქმულ ადგილას, ბერკშირის გზაჯვარედინს რომ ეძახდნენ. რამდენიმე გზობის გაკეთება დასჭირვებია, სიფხიზლეს კი იმ შუალამისას მხოლოდ შოკოლადის ორიოდე ნატეხი და მანქანის ღია ფანჯარაში შემომავალი ცივი ჰაერი უნარჩუნებდა. ამას რომ ჰყვებოდა, ჩრჩილს დედაც სულგანაბული უსმენდა – უთო მაღლა ანეულ ხელში ეჭირა, შემთხვევით პერანგის საყელო არ დავწვაო, და ერთიანად უურადღებად იყო ქცეული.

წესით, მაშინ უნდა მივმხვდარიყავი ყველაფერს.

ერთმანეთთან საუბრისას ზუსტ დროს შეგნებულად არ მიუთითებდნენ ხოლმე. ერთხელ ისიც შევიტყვეთ, რომ დედა თურმე გერმანულ რადიოგზავნილებს იწერდა, მერე კი ამ ცნობებს ლამანშის გადაღმა აგზავნიდა ერთი პატარა დასახლებიდან – ბერდფორდშირში მდებარე სოფელ ჩიკსენდიდან. უურსასმენებმორგებული, მტრის რადიოსახშირებს თურმე იმ სასტუმროს სახურავზეც ისმენდა, „ჩიტის ბუდეში“, რამაც მე და რეიჩელს გვაფიქრებინა, რომ ხანძრის შესაძლო კერების თვალთვალი მხოლოდ ნამდვილი საქმიანობის შესანიღბად სჭირდებოდა. უკვე სხვა თვალით ვუყურებდით დედას, რომელსაც ეტყობა, ბევრად მეტი ნიჭი და